დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯ "იბერიისთვის" " მოდის ტექნოლოგა და დიზაინის"
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი

ბექარ კილასონია

წევრები:

სახელი, გვარი
ხათუნა ფარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ,,იბერია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 30 მაისის №604083 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 19 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ "იბერიაში" (ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112), (შემდგომში- დაწესებულება), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 'მოდის ტექნოლოგა და დიზაინი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა კოლეჯის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მოდის ტექნოლოგა და დიზაინი" (შემდგომში – პროგრამა) შესწავლა ადგილზე. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, ასევე შეაფასა სასწავლო პროცესისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზევე გაიცა რეკომენდაცია, რომელიც ძირითადად დაკავშირებული იყო მცირე ტექნიკურ უზუსტობასთან. კოლეჯმა ოპერატიულად გაიზიარა არსებული ტექნიკური უზუსტობები და უზრუნველყო შესაბამისი ცვლილებების განხორციელება დოკუმენტაციაში. კერძოდ, ცვლილებები შევიდა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სპეციალისტებისთვის. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება დოკუმენტაციის შინაარსობრივი გაუმჯობესებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდას. შესაბამისად დოკუმენტაციის ანალიზისა და ადგილზე დაკვირვების შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის სტანდარტის დარღვევის რაიმე ფაქტები არ გამოვლენილა.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგა და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში; Secondary Vocational Qualification in Fashion technology and design
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0212
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N25, 15/04/2025; ცვლილება: ბრძანება N29, 15/04/2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული სწავლება
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება .....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯ „იბერიის“ მდირექტორის 2020 წლის 28 იანვრის №19 ბრძანების საფუძველზე შემუშავებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი, რომელიც ადგენს პროგრამის შექმნისა და მისი აკრედიტაციის პროცესს ერთიანი სტანდარტების შესაბამისად
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესი, რომელიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან ინტეგრაციას და დამსაქმებელთან მჭიდრო თანამშრომლობას;
- ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ცვლილება დირექტორის 2021 წლის 11 ნოემბრის №241 ბრძანების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან მართვას და სწავლების ხარისხის შენარჩუნებას.

აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგების და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების საფუძველს. სსიპ კოლეჯი „იბერია“ წარმოადგენს იმერეთის რეგიონში მოქმედ მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. **კოლეჯის მისიაა** - მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცნობიერი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე პროფესიული კადრები. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებულ, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრილ პროფესიულ პროგრამებზე სწავლების პროცესს, რაც ეფუძნება სწავლების პრაქტიკულ მიდგომებს. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში, კოლეჯი ხელს უწყობს სწავლების უწყვეტობას და უმაღლესი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობას მთელი ცხოვრების განმავლობაში. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება ეფუძნება შესაბამის ანალიზსა და დასაბუთებას, რომელიც სრულად შეესაბამება როგორც პსდ-ის მისიას, ისე მისი სტრატეგიული განვითარების გეგმას.** სსიპ კოლეჯი „იბერიის“ 2020–2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნობრივი მიმართულებები, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1.2 აქტივობა - შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და მოქმედი პროფესიული განათლების სტანდარტების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა. სწორედ აღნიშნული სტრატეგიული აქტივობის ფარგლებში განიხილება პროფესიული პროგრამის - „მოდის ტექნოლოგიები და დიზაინი“ – დამატება, რაც კოლეჯის მიერ შრომის ბაზრის ანალიზისა და პროფესიული განათლების განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების რეალიზაციას ემსახურება. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებაში წარმოდგენილი აქვს შემდეგი: სამკერვალო ინდუსტრია იმერეთის ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. ღნიშნული სექტორი რეგიონში წლიდან წლამდე იზრდება, რაც გამოხატულია როგორც ადგილობრივი წარმოების მაჩვენებლების გაუმჯობესებით, დასაქმების ახალი შესაძლებლობებით და სექტორში დასაქმების მსურველთა ნაკადის კოლეჯი მრავალი წელია ახორციელებს სამკერვალო მიმართულებით პროგრამებს. იმერეთის რეგიონში არსებული სამკერვალო კომპანიები/ინდივიდუალური საწარმოები პროდუქციას აწარმოებენ მსოფლიოში ცნობილი ბრენდებისათბვის როგორებიცაა: Mango, Zara, coast, Oasis H-M. ამავედროს კარგადაა განვითარებული ონლაინ გაყიდვების ინდივიდუალური ქსეელები. რეგიონში საინტერესოა ქართული ტრადიციული ტანსაცმლისა და ევროპული ტანსაცმლის თანაარსებობა, რომელიც აშკარა ურთიერთზეგავლენას ახდენს მოდაზე. აღნიშნული პროგრამის განხორციელებაბაღდათის ფილიალში ხელს უწყობს ბაღდათის ირგვლივ ადმინისტრაციული ერთეულების - ვანის, ზესტაფონისა და თერჯოლის მოსახლეობის პროფესიული კარიერის განვითარებას და დასაქმებას. კოლეჯში ყოველწლიურად იზრდებოდა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიით დაინტერესებულთა მომართვიანობა, როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკიანი პროფესიული სტუდენტების, რომლებიც სამკერვალო წარმოების პროგრამაზე სწავლას უკავშირებენ თავიანთ კარიერულ მიზნებს. კოლეჯი პროფესიულ პროგრამას განახორციელებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ A/C სასწავლო სახელოსნოში, სასწავლო პროცესს გაუძღვებიან გამოცდილი და წარმატებული პედაგოგები. კოლეჯს ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც დასაქმებულები არიან სხვადასხვა მოქმედ კომპანიებში/ინდივიდუალურ საწარმოებში, ზოგიერთი მათგანი კი თავად წარმოადგენს დამსაქმებელს. კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმები სრულად შეესაბამება განსახორციელებელი პროფესიული პროგრამის მიზნებსა და განხორციელების პროცესს. აღნიშნული სტრატეგია მიზნად ისახავს საზოგადოების საჭიროებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ადეკვატურ და ეფექტიან რეაგირებას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნობრივობასა და პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებულობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით – „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი / Fashion Technology and Design“ (სარეგისტრაციო ნომერი: 07.9.1). დაშვების აუცილებელი წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვალსის №39 ბრძანებით (ცვლილება: 09.09.2023 №43; ცვლილება: 24.03.2025 №16) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის. პროგრამაზე მიღება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების სრული დაცვით. ამის დასტურად წარმოდგენილია როგორც მარეგულირებელი დოკუმენტაცია, ასევე ინტერვიუები შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციულ პერსონალთან. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მიზნებს, რაც უზრუნველყოფს იმ აპლიკანტების შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ უნარი და მზაობა, წარმატებით მიაღწიონ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებითა და ადაპტირებული პირობების უზრუნველყოფით.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ კოლეჯ „იბერიის“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის №19 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება: 2021 წლის 11 ნოემბრის №241 ბრძანება) დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დანართი №3 შესაბამისად ჩამოყალიბდა, გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები, ასევე პარტნიორი დაწესებულებების რესურსული შესაძლებლობები და ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში. კოლეჯს ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა გააჩნია ბაღდათის მისამართზე, ქ. ბაღდათი, ქ. რუსთაველის ქ. N112. **პროგრამა ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ - პროგრამისათვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- A გარემო (აუდიტორია N203), ფართი - 32.45 კვ.მ. განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" (IV დონე) განხორციელებისთვის გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ერთ ცვლაში. სასწავლო სახელოსნოს მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში (ორ ცვლაში) პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არის 30 პროფესიული სტუდენტი/მსმენელი.
- C გარემო (სასწავლო სახელოსნო N201), ფართი - 64.40 კვ.მ. განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის მეორე სართულზე. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15. C სასწავლო გარემოში განთავსებულია სპეციალური ინვენტარი (ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საკერავი მანქანა, სამძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა, ხუთძაფიანი, ორნემსიანი მანქანა, ღილკილოს შემსრულებელი, ღილის დასაკერებელი ნახევრადავტომატური მანქანა, ზიგზაგური გვირისტის, ფიგურული გვირისტის, პროგრამული მართვის ნახევრადავტომატური საქარგავი მანქანა, საუთოო მაგიდა, ორთქლის უთო, საუთოო წნეხი ვაკუუმის გამწოვით და ა.შ). მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გათვლილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად.

ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არის 30 პროფესიული სტუდენტი/მსმენელი. დაწესებულების შიდა რეგულაციების მიხედვით, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 30 საათს. სასწავლო გეგმა შედგენილია მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და სრულად შეესაბამება დადგენილ ნორმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღჭურვილია შესაბამისი ადამიანური რესურსებით პროგრამას ჰყავს კომპეტენტური და კვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი და სამი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც საკმარისია პროგრამის ეფექტიანი და ხარისხიანი განხორციელებისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების, დოკუმენტაციის შესწავლისა და კოლეჯის ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინვენტარი შეესაბამება მოქმედ სტანდარტებსა და მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ლიტერატურა, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით, მოდულში მითითებული საგანმანათლებლო რესურსებიც ადეკვატურადაა წარმოდგენილი. ასევე კოლეჯს გაფორმებული აქვს მაცნესთან ხელშეკრულება.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა მოდის ტექნოლოგიები და დიზაინი შეიცავს ორ არჩევით 7-7 კრედიტიან მოდულს ,,ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება“ და „სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლი. კოლეჯს აჩეული აქვს 7 კრედიტიანი ერთი არჩევით მოდული: ,,ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება“, რომლის სწავლის შედეგები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მომავალ საქმიანობასთან.

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2025 წლის 15 თებერვლის N26 ბრძანებით, (ცვლილება: ბრძანება N28, 15.04.2025), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდებისა“ და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ – სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებებს. იგი ეფუძნება პროგრამის სტრუქტურულ ერთეულებს – მოდულების თემატიკასა და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის სახელწოდება ერთმნიშვნელოვანია, შინაარსობრივად განზოგადებული და არ არის შეცდომაში შემყვანი, რაც უზრუნველყოფს მისი არსის ადეკვატურ აღქმას როგორც პროფესიული სტუდენტების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება უნარი და კომპეტენცია:

- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზება;
- გაეცნოს მოდელის სტრუქტურასა და ფუნქციურ მახასიათებლებს;
- შექმნას ესკიზი და შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დასამზადებლად აუცილებელი ძირითადი და დამხმარე მასალები;
- ტექნოლოგიურად დაამუშაოს სამკერვალო ნაწარმის ცალკეული დეტალები;
- ეფექტურად გამოიყენოს სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების შესაბამისი მოწყობილობები;
- ააგოს სამკერვალო ნაწარმის კონსტრუქციული ნახაზი;
- განახორციელოს ნაწარმის გამოჭრა და შეკერვა;
- მოახდინოს ტანსაცმლის გადაკეთება და დაზიანებული უბნების აღდგენა;
- აწარმოოს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშგება დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია როგორც პროგრამის სახელწოდებასთან, ისე მის მიზნებთან, შინაარსთან და კომპეტენციური მოდელით გათვალისწინებულ მოლოდინებთან.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი/Fashion technology and design“სარეგისტრაციო ნომერი - 07.9.1 სრულად ითვალისწინებს დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დეტალურად განსაზღვრავს მის ძირითად სტრუქტურულ და შინაარსობრივ ელემენტებს. კონკრეტულად, პროგრამაში მკაფიოდ ფორმულირებულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების სისტემისა და მიდგომების ძირითადი პრინციპები, ასევე პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. გარდა ამისა, პროგრამაში გაწერილია სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები და პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირებულ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სრულად ჩამოყალიბებულ სასწავლო გეგმას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპლექსურ, სტრუქტურულად დამუშავებულ და სისტემატურ სახეს. აღნიშნული მიდგომა იძლევა პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისა და მის მიზნებთან შესაბამისობის საფუძველს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მისია და სტრატეგიული გეგმა http://iberia.edu.ge/mission/
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი - განაცხადის დანართი N4;
- საგანმანათლებლო პროგრამა ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“: ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით;
- სსსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის N26 ბრძანება (ცვლილება: ბრძანება N28, 15.04.2025), ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება N19 (ცვლილება: ბრძანება N241, 11/11/2021) ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ. **(გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები, ასევე პარტნიორი დაწესებულებების რესურსული შესაძლებლობები და ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში);

- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18.02. N26 ბრძანება ,,ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების“ შესახებ;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდება;
- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ - განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ძირითად მისამართზე: ქ. ბაღდათი, ქ. რუსთაველის ქ. N112. **პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისი გარემო:**

- A გარემო (აუდიტორია N203) – ფართობი 32.45 კვ.მ, განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე. აღნიშნულ სივრცეში უზრუნველყოფილია 15 პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე გათვლილი სამუშაო ადგილი, რაც შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინის“ (დონე IV) ერთ ცვლაში განხორციელებისთვის აუცილებელ მინიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სასწავლო სივრცე სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას ერთ ცვლაში მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის. სასწავლო სახელოსნოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, ორი ცვლის შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაშვები ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, რაც ემთხვევა რესურსის ოპტიმალურ გამოყენებას და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

- C გარემო (სასწავლო სახელოსნო N201) განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის მეორე სართულზე. სახელოსნოს ფართობი შეადგენს 64.40 კვ.მ-ს, რაც შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროცესისათვის დადგენილ სტანდარტებს. გარემოში მოწყობილია 15 სამუშაო ადგილი, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა/მსმენელთა ეფექტიანად სწავლა-შესწავლის პროცესში ჩართულობას ერთ ცვლაში. C სასწავლო გარემო აღჭურვილია სპეციალური დანიშნულების ინვენტარითა და მოწყობილობებით, რომლებიც სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **მათ შორის წარმოდგენილია:** ერთნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საკერავი მანქანა, სამძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა, ხუთძაფიანი ორნემსიანი მანქანა, ღილკილოს შემსრულებელი მანქანა, ღილის დასაკერებელი ნახევრადავტომატური მანქანა, ზიგზაგური და ფიგურული გვირისტის მანქანები, პროგრამული მართვის ნახევრადავტომატური საქარგავი მანქანა, საუთოო მაგიდა, ორთქლის უთო, საუთოო წნეხი ვაკუუმის გამწოვით და სხვა დანადგარები, რაც აუცილებელია პრაქტიკული კომპეტენციების ფორმირებისა და გაღრმავებისთვის.

აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლეჯს თანდართულად წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 8 მაისის №32 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია აღნიშნული პროგრამის გაუმჯობესების გეგმა 2.2.1 კომპონენტის ფარგლებში. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“. კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მინიმალური მატერიალური რესურსების შეძენა 6 თვიანი ვადით, 2025 წლის 8 ნოემბრამდე. აღნიშნული პროცესის პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულია: ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი და შესყიდვების სპეციალისტი. დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია დაწესებულების ბიუჯეტი. კოლეჯს სურს არსებული ბაზის განახლება, სხვადასხვა სახის ინვენტარის შეძენა, რომელიც უფრო მეტად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა შესაბამისი რესურსების ვიზუალური დათვალიერება და გასაუბრება კომპედენტურ პირებთან, შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას და პროფესიული სტუდენტების შესაბამის შედეგებზე გაყვანას, ასევე მოცემული ინვენტარი კოლეჯის კუთვნილებაშია, რაც დასტურდება საინვენტარიზაციო უწყისით 27.12.2024. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, ობიექტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება არსებულ სტანდარტებს. კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით კოლეჯის შეფასება იყო ,,მეტწილად შეესაბამება'', თუმცა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა შეფასებით აღნიშნულ კომპონენტი გადავიდა „**სრულ შესაბამისობაშია**".

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის ჰყავს განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 9 პროფესიული მასწავლებელი, რომელთაგან 5 უზრუნველყოფს ზოგადი განათლების კომპონენტების სწავლებას, ხოლო 4 მასწავლებელი ასრულებს პროფესიული მოდულების განხორციელების ფუნქციას. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული ადამიანური რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შესაბამისობას, რაც განაპირობებს პროგრამის მდგრადად განხორციელების შესაძლებლობას. მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსის" დებულებებს და არ აღემატება კვირაში 40 სამუშაო საათს. პროგრამას თან ერთვის დანართი №2 - განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის საფუძველზეც იკვეთება, რომ პროფესიული მოდულების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, დაწესებულება უზრუნველყოფილია მინიმუმ ორი განმახორციელებელი პერსონალით თითოეულ მოდულზე. გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულება უწყვეტ რეჟიმში ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განახლება-გაძლიერებაზე და მისი შევსებაზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესება.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული მასწავლებლები სრულად შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა აკადემიური კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების ფორმირებას. ამასთან, მასწავლებელთა უმეტესობას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობაში, რაც დამატებით უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხსა და სტაბილურობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მოდულური პროგრამის ადაპტირებისა და/ან შემუშავების პროცესში, აგრეთვე-სასწავლო რესურსების პერიოდულ განახლებასა და გაუმჯობესებაში. მათ გააჩნიათ სწავლების, შეფასების და შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნის პრაქტიკული გამოცდილება, ასევე მონაწილეობენ პროფესიული განათლების სისტემაში ვალიდაციის პროცესში. საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პროფესიულ მასწავლებლებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მასწავლებლების ფუნქციები და მოდულები, რომელთა განხორციელებასაც თითოეული მათგანი უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური და დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ასევე მას აქვს დარგში მუშობის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური რესურსის განვითარებაზე, ჩერთოს ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებში, ასევე კოორდინაციას გაუწიოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის. დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული რესურსებით როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმატით. ყველა რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. ელექტრონული რესურსების შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებულია წარწერა „ელექტრონული ვერსია“, ხოლო მასალები დამატებით წარმოდგენილია დისკზე ჩაწერილი ფორმით. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს პროფესიულ სტუდენტებზე მორგებულ ორ კომპიუტერს, პრინტერს, ასლგადამღებ აპარატსა და ელექტრონულ კატალოგს. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ სამკითხველო დარბაზში, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია ზემოთ აღნიშნული ინვენტარი. ვიზიტის ფარგლებში დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა და განხორციელდა საბიბლიოთეკო სივრცის ვიზუალური დათვალიერება. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ყოველ სამუშაო დღეს ორშაბათიდან -პარასკევის ჩათვლით, **დილის 09:00 საათი-დან 18:00 საათა-მდე.** სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით, ამობეჭდონ ელექტრონული სახით არსებული მასალები, გამოიყენონ სამკითხველო დარბაზი და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია'', რაც უზრუნველყოფს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას. კოლეჯი ახორციელებს უნივერსალური დიზაინის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური მასწავლებლების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/ შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე ჩატარდა გასაუბრება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალთან. ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება სრულად ასრულებს სსსმ/შშმ პირებისთვის დადგენილ საკანონმდებლო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა ფინანსდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების შესაბამისად. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით. კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 9 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი აგებულია სტუდენტთა მინიმალურ შესაძლო ოდენობაზე და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის შემოსავლები ანაზღაურებენ მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს 9 პროფესიული. სტუდენტისთვის. კოლეჯი გეგმავს 15 სტუდენტის მიღებას ერთ ჯგუფში.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის ვებგვერდი: www.spectri.ge
- ცკოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი
- პერსონალის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პირადი საქმე;
- დანართი N2 - ფორმა პროფესიული სა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ (გარდა მასალებისა და ნედლეულისა);
- განაცხადის დანართი N1 - ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ.
- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანება ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის №126 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ - განსაზღვრავს პროგრამების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს რამდენიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელოვანი კომპონენტის გამოყენებას, რომლებიც მიზნად ისახავს პროგრამის ეფექტიანობის, შედეგიანობისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის შეფასებას. პროგრამის შეფასების მექანიზმები მოიცავს შემდეგს:

- **კურსდამთავრებულთა და დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევას** - რაც უზრუნველყოფს პროგრამის გავლენის შეფასებას მისი დასრულების შემდეგ და ასახავს პროფესიული განათლების შედეგების რეალურ ეფექტს;
- **დამსაქმებლების გამოკითხვას** - რაც ხელს უწყობს შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებას და საგანმანათლებლო შინაარსის ადეკვატურობის ანალიზს;
- **დარგის გარე ექსპერტების მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში** - რაც ზრდის შეფასების ობიექტურობასა და პროფესიულ სანდოობას.

მიღებული შეფასებების შედეგები, მათ შორის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების (მასწავლებლების, ადმინისტრაციის) და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევების მონაცემები, ანალიზდება. საჭიროების შემთხვევაში, ამ ანალიზის საფუძველზე კოლეჯი ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში ან მოდულებში, დაწესებულების მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას, დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების გათვალისწინებით და საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მორგებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სსიპ კოლეჯი „იბერია“, საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებებს ახორციელებს დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის №126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-6 მუხლის შესაბამისად, კოლეჯის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი საფუძვლების გათვალისწინებით:

- მოქმედი შეფასების სისტემით განსაზღვრული მონიტორინგისა და კვლევების შედეგების ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტანდარტში ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეტანილი ცვლილებები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები, განსაკუთრებით არჩევითი მოდულების შემთხვევაში;
- სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც პროგრამის შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური განახლების აუცილებლობას განსაზღვრავს.

ცვლილებების ინიცირება შესაძლებელია შემდეგი სუბიექტების მიერ: ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი ან პრაქტიკის ინსტრუქტორი. ცვლილების ინიცირების საფუძველს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი, არგუმენტირებული წინადადება. პროგრამის მოდულის ან მისი ცალკეული კომპონენტის ცვლილების, დამატების ან ამოღების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. აღნიშნულ აქტში განისაზღვრება, თუ რომელი სტუდენტური ჯგუფებისთვის ვრცელდება განხორციელებული ცვლილება სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე. მეთოდოლოგიის შესაბამისად, კოლეჯს შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს პროგრამების განვითარება როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე შესაბამისი საკითხის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ინიცირებით. თუმცა, მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული ინიციატივა ამჟამად პროფესიული უნარების სააგენტოს ეგზავნება. გარდა ამისა, ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ პროფესიულ განათლებაში მიმდინარე ცვლილებებისა და სისტემური განვითარების ფონზე მიზანშეწონილია, კოლეჯმა უზრუნველყოს შიდა რეგულაციების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა რეგულაციები იყოს შესაბამისობაში სექტორში დამკვიდრებულ ახალ მოთხოვნებთან და სტანდარტებთან.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამის შესაბამისი სასწავლო გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 15 აპრილის №25 ბრძანებით (ცვლილება: №29 ბრძანება, 15.04.2025). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს აღნიშნული გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა ეფუძნება ლოგიკურად აგებულ მოდულურ სტრუქტურას, რაც უზრუნველყოფს თემატურ თანმიმდევრობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაარსობრივ კავშირს პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებს შორის. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ადგენს სასწავლო ცხრილს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ორგანიზებულად წარმართვას. დაწესებულება წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა, როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

- ქართული ენის სტუდენტებისთვის პროგრამა ითვალისწინებს 90 კრედიტს, სავარაუდო ხანგძლივობა - 18 სასწავლო თვე.
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, მათ შორის 15 კრედიტი განსაზღვრულია „ქართული ენა **A2“ და 15 კრედიტი „ქართული ენა B1“.** პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 24 სასწავლო თვეს.

პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული აკადემიური დატვირთვა არ აღემატება 30 საათს. თითოეული მოდულის დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი წარადგენს შესაბამის კალენდარულ გეგმას სასწავლო პროფესის მენეჯერთან, რის საფუძველზეც ხორციელდება მოდულის სწავლება.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვალსის №39 ბრძანებით (ცვლილება: 09.09.2023 №43; ცვლილება: 24.03.2025 №16) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები. აღნიშნული წესები ითვალისწინებს სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენებას მათი აკადემიური წინსვლისა და პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად. „მარეგულირებელი წესით“ ასევე განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (სერთიფიკატი, დიპლომი და სხვ.) გაცემის წესი. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის განრიგი კორექტირდება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მაქსიმალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. ავტორიზაციის პროცედურის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული რეგულაციის დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან, რაც მიზნად ისახავდა პრაქტიკაში რეგულაციის ეფექტიანად განხორციელების დადასტურებას. სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად, უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერას მათ ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდნენ ადმინისტრაციას, საიდანაც მათ სწრაფი და ადეკვატური უკუკავშირი ეძლევათ.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდოლოგიას. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებს და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამის ტექნოლოგიურ მხარდაჭერას. პროგრამა განხორციელდება ტექნოლოგიურად აღჭურვილ საგანმანათლებლო გარემოში, რომელიც სრულად მორგებულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია სწავლების მრავალფეროვანი რესურსები, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ვიზუალური და ელექტრონული სასწავლო მასალები;
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შერჩეული თვალსაჩინოებები;
- სწავლებისთვის საჭირო სხვა თანამედროვე ტექნოლოგიური და დარგობრივი რესურსები.

გარდა ამისა, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში, კერძოდ მე-4 სტრატეგიულ მიმართულებაში-ინსტიტუციური გაძლიერება, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის სისტემისა და თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სისტემების განვითარება **(ამოცანები 4.2 და 4.3).** აღნიშნული მკაფიოდ მიუთითებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის უწყვეტი გაუმჯობესების პრიორიტეტულობაზე, რაც ინსტიტუციური მდგრადობისა და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს. ზემოაღნიშნული საკითხი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება/განხორციელდება სპეციალური სტაჟირებებისა და ტრენინგების მეშვეობით, რაც მიზნად ისახავს სწავლების პროცესში უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების ეფექტიან ინტეგრაციას. აღნიშნული უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებას და ხელს უწყობს სტუდენტთა საგნობრივ და პრაქტიკულ კომპეტენციათა განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვალს №39 ბრძანებით (ცვლილება: 09.09.2023 №43; ცვლილება: 24.03.2025 №16) დამტკიცებულია-„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ ყველა მნიშვნელოვან პროცესს, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის წესს;
- მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და სწავლის შედეგების დადგენის წესს;
- სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებას და ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის სტრატეგიებს.
- სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიას.

დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ მიდგომებს, კერძოდ-ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის შეუფერხებელ და სრულფასოვან ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში და წარმოადგენს ხარისხიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების უზრუნველყოფის საფუძველს.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ კოლეჯის მიერ ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე. პარტნიორი ორგანიზაციები მოიცავს როგორც საწარმოებს, ისე ინდივიდუალურ მეწარმეებს, კერძოდ: შპს „MGtex“, ინდივიდუალური საწარმოები „მანანა კუპრაძე“ ქეთინო შალამბერიძე“. მორანდუმებში დეტალურად განსაზღვრულია მათი მიზანი და საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოქმედების ვადა და სხვა სამართლებრივი დებულებები. დოკუმენტების საფუძველზე რეგულირდება საწარმოო პრაქტიკის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება პარტნიორ სტრუქტურებთან თანამშრომლობით. **ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზევე გასცა რეკომენდაცია, რომლებიც უკავშირდებოდა მემორანდუმების შინაარსობრივ სრულყოფას. მემორანდუმებში იყო მცირედი სახის ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ: მემორანდუმში გამორჩერნილი იყო ერთდროულად რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეეძლო პრაქტიკის ობიექტს და რამდენად ჰქონდა სტუდენტს ესარგებლა პრაქტიკის ობიექტზე არსებული ინვენტარით სწავლის შედეგების მისაღწევად.** კოლეჯმა მყისიერად გამოავლინა მზადყოფნა აღნიშნული საკითხების გასაუმჯობესებლად და მოახდინა მემორანდუმების შესაბამისი მოდიფიკაცია, რაც ადასტურებს მის პროაქტიურ დამოკიდებულებას ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების ორგანიზების მიმართ. პრაქტიკის ობიექტების ადგილზე დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ პრაქტიკის ობიექტს ერთდროულად შეუძლია მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. ასევე საწარმოო გარემო სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოქმედ ნორმებს, აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ითვალისწინებს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტების მოთხოვნებს და რეალურად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო პირობებს.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ კოლეჯში „იბერია“, რომელიც მდებარეობს ქალაქ ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112. კოლეჯის ფიზიკური გარემო უზრუნველყოფს როგორც უსაფრთხო, ისე ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო სივრცეს. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად კოლეჯში დასაქმებული არიან შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. ფუნქციონირებს ვიდეო-სათვალთვალო სისტემა, რაც აუმჯობესებს გარემოს კონტროლისა და პრევენციული მოქმედებების შესაძლებლობას. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრი მოწყობილობები. შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის: მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები და ფუნქციონირებს ლიფტი, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან ფიზიკურ ხელმისაწვდომობას. კოლეჯის დირექტორის მ.შ 2025 წლის 24 მარტის №18 ბრძანებით (ცვლილება №45, 2025 წლის 18 ივნისი) დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია, რომელიც სპეციალურად შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ - სწავლების პროცესისთვის. დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესებს სასწავლო გარემოში. **ინსტრუქციაში გაწერილია:**

- ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნები;
- უსაფრთხოების ზომები სამუშაოს დაწყებამდე, შესრულების პროცესში და დასრულებისას;
- სპეციალურ დანადგარებთან მუშაობის რეგულაციები.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზევე გასცა რეკომენდაცია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში შინაარსობრივ დახვეწასთან დაკავშირებით, სადაც იყო მცირედი ტექნიკური უზუსტობებ. კონკრეტულად, შენიშვნები შეეხებოდა დოკუმენტის შემდეგ პუნქტებს: 1.2, 1.4, 1.5 და 1.7. კოლეჯმა დაუყოვნებლივ გამოავლინა მზაობა რეკომენდაციების დასაკმაყოფილებლად და განახორციელა ინსტრუქციის მოდიფიცირება, რაც მიანიშნებს კოლეჯის პროაქტიულ მიდგომაზე ხარისხიანი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიმართ. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა ხელმოწერის დღიდან. ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობისას განხორციელდა კომპეტენტური პირ(ებ)ის მიერ შესაბამის აუდიტორიებში ახალი რედაქციის გაცნობა და ინფორმაციული მასალის გამოკვრა, რაც უზრუნველყოფს წესის პრაქტიკულ იმპლემენტაციას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის N25 ბრძანება (ცვლილება №29, 2025 წლის 15 აპრილი) „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის მ.შ 2025 წლის 24 მარტის №18 ბრძანება (ცვლილება №45, 2025 წლის 18 ივნისი) შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია, რომელიც სპეციალურად შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ - სწავლების პროცესისთვის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვალსის №39 ბრძანება (ცვლილება: 09.09.2023 №43; ცვლილება: 24.03.2025 №16) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებული ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია;
- კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები
- სასწავლო ცხრილები;
- ვიზუალური დათვალიერებით.
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ცვლილების ბრძანება№31, 04.06.2024), რომელიც მოიცავს დანართი №1-ს, სადაც გაწერილია: მონიტორინგის მექანიზმები, სასწავლო პროცესის ორგანიზება, ხარისხის მართვა, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, შეფასების პროცესზე დაკვირვება, ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა. კოლეჯის მიერ გაწერილი რეგულაციების მიხედვით შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია ხორციელდება შემდეგნაირად:

- შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს (სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს) წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს - დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაციას აკეთებენ სასწავლო პროცესის მენეჯერი (სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი) და პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებული ფორმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად. სასწავლო პროცესის მენეჯერი (სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი) ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის შემოწმებას;

- ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შესწორებული სახით; შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „შეთანხმებულია დარგის სპეციალისტთან“ გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.

პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ვადებში რომელიც განსაზღვრულია 5 სამუშაო დღით. შეფასების შედეგის გაცნობას პროფესიული სტუდენტი ადასტურებს შეფასების მტკიცებულებაზე ხელმოწერით. თუ პროფესიული სტუდენტი ვერ იღებს ინფორმაციას პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, აღნიშნულ ინფორმაციას შეფასების უწყისზე დაყრდნობით, გასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ასევე სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვალსის №39 ბრძანებით (ცვლილება: 09.09.2023 №43; ცვლილება: 24.03.2025 №16) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ამ წესის 31 მუხლში გაწერილია საგნმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი. წესის შესაბამისად შეფასების ისნტრუმენტში გაწერილია:შეფასების ინსტრუმენტის ნომერი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, მოდულის განმახორციელებელი პირი, ჯგუფის ნომერი, პროფესიული სტუდენტის სახელი-გვარი, შეფასების ჩატარების თარიღი, დასადასტურებელი შედეგ(ებ)ი, შესრულების კრიტერიუმები, შეფასების მიმართულება, შეფასების მეთოდი, შეფასებისათის განკუთვნილი დრო, შეფასების პროცესის აღწერა, შეფასების მტკიცებულების სახე, განმეორებითი შეფასების პირობები, აპელაციის პირობები, ხარვეზების დაშვების ნორმა/შესრულების მინიმალური ხარვეზი, შეფასების მტკიცებულება-პრფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შესრულებული წერილობითი ჩანაწერი/შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი), პროფესიული სტუდენტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერები და ჩანაწერი დარგის სპეციალისტთან ინსტრუმენტის შეთანხმების შესახებ. მოდულზე სწავლის დაწყებისთანავე მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს მოდულის სწავლების შედეგების შეფასების პირობებს.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სსიპ კოლეჯ "იბერიაში" დანერგილია შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც წარმოადგენს შეფასების ხარისხის მართვისა და უწყვეტი გაუმჯობესების მნიშვნელოვან მექანიზმს. სისტემა ეფუძნება ვერიფიკაციის აღიარებულ პრინციპებს და მოიცავს როგორც შეფასების ინსტრუმენტის, ასევე შეფასების პროცესისა და დამადასტურებელი მტკიცებულებების სისწორისა და სანდოობის გადამოწმებას. ვერიფიკაცია ხორციელდება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შიდა პროცედურების შესაბამისად, მკაფიოდ განსაზღვრული ადამიანის რესურსების განაწილების და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის პრინციპების დაცვით. შიდა ვერიფიკაცია წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შესაბამისობას დადგენილ საგანმანათლებლო სტანდარტებთან. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ინსტიტუციური დოკუმენტების ფარგლებში. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №34 ბრძანებით (ცვლილება: №31, 04.06.2024) დამტკიცებული დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ მოიცავს დანართი №1-ს, სადაც დეტალურად არის გაწერილია: მონიტორინგის მექანიზმები, სასწავლო პროცესის ორგანიზება, ხარისხის მართვა, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, შეფასების პროცესზე დაკვირვება, ვერიფიკაციის დასკვნა და შედეგების განხილვა. ზემოაღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, ყოველ კალენდარულ წელს, წლის დასაწყისში, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ვერიფიკაციის წლიურ გეგმასა და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობას. ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგობრივი სპეციალისტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. **ვერიფიკაციის პროცესის გამჭვირვალობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, დადგენილია შემდეგი პრინციპები:**

- ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან ოთხ თვეში ერთხელ წარადგინონ შუალედური ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ჯგუფის ხელმძღვანელთან;
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გეგმაში ცვლილებების ინიცირება;

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები ახორციელებენ შემდეგ ფუნქციებს:

- ხარისხის მართვის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს;
- სასწავლო პროცესის მენეჯერი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად;
- პროგრამის ხელმძღვანელი/დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. შეფასების ინსტრუმენტს ვერ გადახედავს იმავე დარგის ის სპეციალისტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში, რითაც თავიდან აიცილება ინტერესთა კონფლიქტი და უზრუნველყოფილი რჩება შეფასების მიუკერძოებლობა.
- სასწავლო პროცესის მენეჯერი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;
- საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას;
- დუალური პროგრამების კოორდინატორი (სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი) - უზრუნველყოფს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის როგორც შეფასების მტკიცებულების შესწავლას;

აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების სანდო, სამართლიან და სტანდარტებთან შესაბამის შეფასებას.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის, მონაცემებისა და მტკიცებულებების მართვა ხორციელდება განსაზღვრული წესისა და პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული პროცედურა დამკვიდრებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის №39 ბრძანებით (ცვლილებები: №43, 09.09.2023; №16, 24.03.2025) დამტკიცებული დოკუმენტით – „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, კერძოდ კი მისი 33-ე მუხლით, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის რეგლამენტს.აღნიშნული მუხლის შესაბამისად:

- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეინახოს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები მოდულის დასრულებამდე, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და საჭიროების შემთხვევაში მის გადასინჯვის შესაძლებლობას;
- მოდულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი ვალდებულია სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოდგინოს მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;
- იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, შეფასების უწყისები უნდა წარმოდგენილ იქნას ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით;
- სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი უზრუნველყოფს წარმოდგენილი მონაცემების ფორმალიზებას და მათ ასახვას შეფასების უწყისების აღრიცხვის ჟურნალში, რაც წარმოადგენს შეფასების ადმინისტრირების პროცესის შემადგენელ ნაწილს და ამყარებს მას დოკუმენტური სიზუსტით;
- პროგრამის ხელმძღვანელი, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისაგან იღებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს ხუთი (5) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, როდესაც მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის განხორციელების წინაპირობას, შესაბამისი მტკიცებულებები პროგრამის ხელმძღვანელის მიერ უნდა ჩაიბაროს მოდულის დასრულებიდან ერთ (1) სამუშაო დღეში;
- სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულნი არიან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ათი (10) სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგინონ ყველა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის შეფასების უწყისი და შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნული მასალების საფუძველზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ან არმინიჭების შესახებ;

- სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუგვიანეს ათი (10) სამუშაო დღის ვადაში, შესაბამისი ოქმის საფუძველზე, წარუდგენს კოლეჯის დირექტორს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ან არმინიჭების შესახებ, თანდართული პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიით;
- თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუგვიანეს ათი (10) სამუშაო დღის ვადაში, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს – სამი (3) წლის ვადით. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, შესაბამისი აქტის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების უსაფრთხო და სისტემატიზებულ დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი, დადგენილი წესებისა და არქივში დოკუმენტაციის მართვის შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით.

აღნიშნული მექანიზმები წარმოადგენს შეფასების სისტემის სანდოობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლის შედეგების სრულფასოვან და სამართლიან განსაზღვრას.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის №39 ბრძანებით (ცვლილებები: №43, 09.09.2023; №16, 24.03.2025) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 35-ე მუხლის თანახმად: მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეფასების უწყისში ასახულ შედეგებს, არაუგვიანეს ხუთი (5) სამუშაო დღის ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირის საფუძველზე, ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კოორდინაციით ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს. ანალიზის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შემუშავდება გაუმჯობესების გეგმა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პროგრამის განვითარების მიმართულებებს, მოდულების თანმიმდევრობის ცვლილებას, სასწავლო გეგმის კორექტირებას, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების ან საგანმანათლებლო რესურსების გადახედვას. აღნიშნული გეგმა დამტკიცებისთვის წარედგინება კოლეჯის დირექტორს. გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიული სასწავლო დაწესებულება იცავ მის მიერ შემუშავებულ რეგულაციას.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვალსის №39 ბრძანება (ცვლილება: 09.09.2023 №43; ცვლილება: 24.03.2025 №16) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ (მუხლი-31, მუხლი-33; მუხლი-35;)
- სსიპ კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №34 ბრძანება (ცვლილების ბრძანება№31, 04.06.2024) ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ წესის დამტკიცების შესახებ დანართი №1-ს;
- ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
- ვალიდაციის მტკიცებულებები;
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

02.07.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: